სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №27

2011 წ. 15 აპრილი

ქ. თბილისი

2011 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საგნობრივი საპრეტენზიო კომისიების შექმნის შესახებ

„2011 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებში საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობის ადმინისტრირებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2011 წლის 30 მარტის №21 ბრძანების დანართი №1-ის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2011 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრების მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. 2011 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების განხილვის მიზნით, დამტკიცდეს საგნობრივი საპრეტენზიო კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

2.1. ფიზიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ა) თინათინ ბოჭორიშვილი - ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) რევაზ ასათიანი - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თამარ გორგოძე - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი, კომისიის მდივანი;

დ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ე) გიორგი ღვედაშვილი - კომისიის წევრი;

ვ) ჯუანშერ ჯეჯელავა - კომისიის წევრი.

2.2. მათემატიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ა) თინათინ ბოჭორიშვილი - ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) რევაზ ასათიანი - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თამარ გორგოძე - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი, კომისიის მდივანი;

დ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ე) ვაჟა ლომიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის პროგრამის კოორდინატორი, კომისიის წევრი;

ვ) უშანგი გოგინავა - კომისიის წევრი;

ზ) შალვა ზვიადაძე - კომისიის წევრი.

2.3. ინფორმატიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ა) თინათინ ბოჭორიშვილი - ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) რევაზ ასათიანი - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თამარ გორგოძე - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი, კომისიის მდივანი;

დ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ე) ვაჟა ლომიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის პროგრამის კოორდინატორი, კომისიის წევრი;

ვ) კობა გელაშვილი – კომისიის წევრი.

2.4 ბიოლოგიის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ა) თინათინ ბოჭორიშვილი - ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) რევაზ ასათიანი - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თამარ გორგოძე - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი, კომისიის მდივანი;

დ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ე) ლევან ჭაჭია - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის პროგრამის კოორდინატორი, კომისიის წევრი;

ვ) დიანა ძიძიგური - კომისიის წევრი;

ზ) ნანული დორეული - კომისიის წევრი.

3. 2011 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატის მიერ მიღებული შეფასება ან შესარჩევი ტურის პროცედურული დარღვევა კანდიდატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ფონდში შექმნილ შესაბამის საგნობრივ საპრეტენზიო კომისიაში შემდეგი ვადების დაცვით:

ა) მათემატიკასა და ფიზიკაში I და II შესარჩევი ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, ფონდში სააპელაციო განაცხადები მიიღება 20 აპრილის 14:00 სთ-მდე;

ბ) მათემატიკასა და ფიზიკაში III და IV ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, ფონდში სააპელაციო განაცხადები მიიღება ფიზიკაში – 4 მაისის 14:00 სთ-მდე, ხოლო მათემატიკაში - 5 მაისის 14:00 სთ-მდე;

გ) ინფორმატიკაში I და II ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, ფონდში სააპელაციო განაცხადები მიიღება 10 მაისის 14:00 სთ-მდე;

დ) ბიოლოგიაში I და II ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, ფონდში სააპელაციო განაცხადები მიიღება 20 აპრილის 14:00 სთ-მდე.

4. შესაბამისი საგნობრივი საპრეტენზიო კომისია სააპელაციო განაცხადებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს შემდეგი ვადების დაცვით:

ა) მათემატიკასა და ფიზიკაში I და II შესარჩევი ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება არა უგვიანეს 21 აპრილისა;

ბ) მათემატიკასა და ფიზიკაში III და IV ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის მიერ ფიზიკაში გადაწყვეტილება მიიღება არა უგვიანეს 5 მაისისა, ხოლო მათემატიკაში – არა უგვიანეს 6 მაისისა;

გ) ინფორმატიკაში I და II ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება არა უგვიანეს 11 მაისისა;

დ) ბიოლოგიაში I და II ტურების შედეგებისა და პროცედურების გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება არა უგვიანეს 21 აპრილისა.

5. კომისიის სხდომებს უძღვება და თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

6. კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი მაინც. კომისიის მიერ გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით.

7. კომისიის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კენჭისყრის შედეგად ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

8. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი.

9. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ.გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებ-გვერდზე განთავსება.

10. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური